

1945



შუასო

საქართველოს სსრ განათლების  
სახალხო კომისიარიატის ბრძა-  
ნებათა და განკარგულებათა

# პრეზუმი

წელიწადი მერვე

№ 8—9

Сборник приказов и Распоряжений  
НКПроса Груз. ССР

1945 წ.

## შინაარსი

1. ბრძანება № 2076—1944—45 ხასწ. წ. სკოლებში სიმწიფის ატეს-  
ტატზე საგამოცდო წვრთი ნამუშევრების შესახებ ქართულ  
ლიტერატურაში . . . . . 2 გვ.
2. ბრძანება № 1531—სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლებში  
1944—45 ხასწ. წ. ჩატარებული მუშაობის შესახებ . . . . . 11 "
3. დებულება—სოფლის ახალგ. სალამოს სკოლისა . . . . . 16 "
4. დებულება—მუშა ახალგაზ. დ. სალამოს სკოლისა . . . . . 19 "
5. სოფლის ახალგაზრდობის, მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილ-  
თა სკოლების სასწავლო გეგმები და განმარტებითი ბარათი (ცხრი-  
ლები დართულია) . . . . . 25 "

## ბრძანება № 2076

საქართველოს სსრ განათლების სახალხო  
კომისარიატისადმი

1945 წ. 22 აგვისტო

1944-45 წელს საქართველოს სსრ სკოლებში სიმწიფის  
ატმოსტატზე საბამოცდო წერიტი ნამუშევრების  
შესახებ ქართულ ლიტერატურაში

აღვნიშნავ, რომ „სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მთავრობის 1944 წ. 21 ივნისის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები 1944-45 სასწ. წელში სერიოზულად და პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ სიმწიფის ატმოსტატზე გამოცდებისათვის: სისტემატურად აწარმოებდნენ განვლილი მასალების გამეორებას, ნერგავდნენ მოსწავლეებში წიგნზე მუშაობის ჩვევებს, საქირო რაოდენობით ატარებდნენ წერით მუშაობას, გულდასმით ასწორებდნენ წერით ნამუშევრებს, ხელმძღვანელობდნენ კლასგარეშე კითხვას, კარგად ჰქონდათ დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა — განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლე ახალგაზრდობაში სამშობლოს სიყვარულის, სიმამაცის, სიმტკიცის, გამბედაობისა და სხვა თვისებების აღზრდას.

1944-45 სასწავლო წელს საქართველოს სსრ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა საგამოცდო წერიტი ნამუშევრების განხილვამ ნათელჰყო, რომ ამის შედეგად, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში სერიოზული გარდატეხა მოხდა.

წერით ნამუშევრებში მოსწავლეები ამკლავნებენ პროგრამით გათვალისწინებულ ლიტერატურულ მასალის დრმა ცოდნას, სწორად ახდენენ ნაწარმოების ანალიზს, ერკვევიან მწერლის შემოქმედებითი გზის განვითარებაში, შეგნებულად იყენებენ კრი-

ტიკულ ლიტერატურას, იჩენენ ნაკითხობას და საერთო განათლებას.

ამაღლდა წერიტი მეტყველების კულტურის დონე—მოსწავლეები ლოგიკური თანმიმდევრობით შლიან თემას, წერენ სტრუქტურულ და სწორი ხელით, ნაკლები რაოდენობით უშვებენ ენობრივი ხასიათის შეცდომებს.

ამ მხრივ კარგ მაჩვენებლებს იძლევიან თბილისის ქალთა 23-ე სკოლა (მასწ. ბერიძე), ქალთა მე-6 სკოლა (მასწ. ბ. მკედლიძე), ვაჟთა 1-ლი სკოლა (მასწ. ი. სიხარულიძე), ვაჟთა მე-7 საშ. სკოლა (მასწ. ვარდიავილი), ქალთა მე-2 სკოლა (მასწ. კვასხვაძე), ქუთაისის ვაჟთა 1-ლი საშ. სკოლა (მასწ. პ. ხვალაძე და ნ. გვარამია), ბათუმის ვაჟთა მე-2 საშ. სკოლა (მასწ. ნიჟარაძე), მახარაძის ვაჟთა 1-ლი საშ. სკოლა (მასწ. იობაშვილი) და სხვ.

მიღწევებთან ერთად გამოჰქდავდა, რომ მთელ რიგ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე ჯერ კიდევ არ დგას სასურველ დონეზე, რომ მოსწავლეთა წერიტი მეტყველება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია:

ა) მიუხედავად იმისა, რომ წელს სიმწიფის ატესტატზე გამოცდელად დაშვებული არ იყვნენ მოსწავლეები, რომელთაც წლიური შეფასება ქართულ ენისა და ლიტერატურაში „3“-ზე ნაკლები ჰქონდათ, მთელ რიგ სკოლებში გამოცდებზე დაშვებულ მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა გამოცდებისათვის და მათი წერიტი ნამუშევარი ქართულ ენისა და ლიტერატურაში „2“-ით იქნა შეფასებული. ასე მაგ., ცხაქაიას რაიონის სოფ. გეჯეთის საშ. სკოლაში (მასწ. ლაბარტყავა) გამოცდებზე დაშვებულ 13 მოსწავლიდან ექვსმა მოსწავლემ ქართულ ლიტერატურაში წერიტი მუშაობა „2“-ზე შეასრულა. საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძელის სკოლაში გამოცდას აბარებდა 43 მოსწავლე, აქედან წერიტი გამოცდა ქართულ ლიტერატურაში ვერ ჩააბარა 11 მოსწავლემ. ტყიბულის რაიონის ორბირის საშ. სკოლაში გამოცდას აბარებდა 28 მოსწავლე, ამათგან 10 მოსწავლემ ქართულ წერაში მიიღო შეფასება „2“. ასეთივე მდგომარეობა იყო სოფ. ღორეშის (ხარაგაულის რ.), სოფ. ქვილიშორის (წყალტუბოს რ.), სოფ. ვალანის (მცხეთის რ.), დაბა წნორის (სიღნაღის რ.) და ზოგიერთ სხვა საშუალო სკოლებში.

ეს მდგომარეობა მიგვითითებს, რომ ამ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ვერ იდგა სათანადო სიმაღლე-

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრის  
სამსახურის  
სამსახური

ზე და მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად არსებითი ღონისძიებათა ჩატარების ნაცვლად, მოსწავლეებს დაუმსახურებლად უწერდნენ მაღალ ნიშნებს.

ბ) მრავალ სკოლაში მოსწავლეებისათვის დაუძლეველი ჩნდა თემა „პოეტის დანიშნულება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ირ. ევდოშვილის მიხედვით“. ჩოხატაურის რაიონის სკოლებიდან წარმოდგენილ ნაშრომებში არც ერთი არ იყო დაწერილი ამ თემაზე. ხაშურის რაიონის სოფ. ტეზრის მოსწავლეთაგან ოთხმა აირჩია ეს თემა. მაგრამ ვერცერთმა ვერ გაიგო მისი აზრი და პოეტის დანიშნულების გამოკვევის ნაცვლად მათ ილიას და აკაკის შემოქმედების ზოგადი განხილვა მოგვცეს. არც ერთი ლექსი, რომლებშიაც მოცემულია დასახელებული მწერლების შეხედულება პოეტის დანიშნულების შესახებ (ილიას „პოეტი“, „ჩემო კალამო“, აკაკის—„პოეტი“, „ჩონგური“—ირ. ევდოშვილის „მუზა და მუშა“) მათ თხზულებებში მოხსენებული და განხილული არ არის. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ სკოლებში არ ტარდება ვარჯიში განმაზოგადოებელი თემების წერაში და წერით მუშაობაში ადგილი აქვს ერთფეროვნებას და შტამპს.

გ) ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები შინაარსობრივად ღარიბია და მკრთალი. თხზულებებში არ არის გამოყენებული საჭირო ძირითადი მასალა. თბილისის ვაჟთა მე-8 სკოლის მოსწავლე კ-ძის ნაშრომში ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ არაფერია თქმული „სული ბოროტა“, „ფიქრის მტკვრის პირას“, „რად ყვედრი კაცსა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სული ობოლის“, „ჩინარისა“ და სხვ. შესახებ, რომელთა შესწავლა პროგრამით არის გათვალისწინებული. ჩოხატაურის საშუალო სკოლის მოსწავლე ე. ჩ-ძის ნაშრომი თემაზე—„ნ. ბარათაშვილის შემოქმედება“ სულ ორ გვერდზეა შესრულებული. ამავე სკოლის მოსწავლეს ო. ჯ-ის ნაშრომი, იმავე თემაზე გვერდნახევარზეა შესრულებული და საკითხი სანახევროდაც არ არის ამოწურული. დაბა წნორის საშუალო სკოლის მოსწავლეების რ. ჩ-სა და ე. ტ-ს შრომები გვერდნახევარზეა შესრულებული. თემის ძირითადი საკითხები განუხილველია, შინაარსობრივად ღარიბია, ასეთივე ხასიათისაა ტალერის, კიწიის (გეგეჭკორის რ.) და მრავალი სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრები. ეს ფაქტები იმაზე მიგვითითებენ, რომ აღნიშნულ სკოლებში ზერელედ ხდებოდა მწერალთა შემოქმედების და ცალკე ნაწარმოების შესწავლა, ტექსტზე მუშაობას არ ეთმობოდა სათანადო ადგილი, არ ხდებოდა

ბოდა ლექსების ზეპირად დასწავლა, სისტემატურად არ წარმოებდა გავლილი მასალის განმეორება.



დ) ზოგიერთი სკოლის მოსწავლეებს უძნელდებათ აზრის მიმდევრულად გაშლა, თხზულების ცალკეულ ნაწილთა შორის არ არის დაცული პროპორცია და შეთანხმება. თხზულებას არ ახასიათებს მთლიანობა, გვხვდება შეუფერებელი გადასვლები და უადგილო განმეორებანი. ონის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე მ. გ-მე ვერ ახერხებს აზრის თანმიმდევრულად გაშლას. „ნაშრომი“ ამოგლეჯილი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი აბზაცების ჯამია და არა მთლიანი თხზულება. ერთი საკითხის დამთავრებამდე ზოსწავლე მოულოდნელად სრულიად სხვა საკითხის განხილვაზე გადადის. ასე, მაგ., ის წერს „ნ. ბარათაშვილი დაიბადა 1817 წ. ქ. თბილისში, წერა-კითხვა დედამ შეასწავლა. მისგანვე მიიღო მემკვიდრეობად სამშობლოს სიყვარული. მისი შემოქმედება გამოხატავს ნიადაგშერყეულ თავადაზნაურთა იდეოლოგიას. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნიკოლოზი თავის ბიძისადმი მიწერილ წერილში სწერდა: „მე შინაგანი ხმა მიმწევს“ და სსვ. წულუკიძის რაიონის სოფ. პატარა ჯიხაიშის მოსწავლე თ. გ-ია სწერს: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება გამსჭვალულია პატრიოტული გრძნობით“, ექვსი სტრიქონის შემდეგ ისევ იმეორებს: „ვაჟა-ფშაველას პოეზია სამშობლოსადმი სიყვარულის, უწმინდესი პატრიოტული გრძნობით არის გამსჭვალული. გეგეჭკორის რაიონის სოფ. თამაკონის საშუალო სკოლის მოსწ. ვ. ც-ია პირველ ორ აბზაცში არკვევს ვაჟა-ფშაველას პოეზიაში პატრიოტული მოტივის წარმოშობის პირობებს, ხოლო შემდეგ სრულიად უადგილოდ ისევ იმეორებს: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პატრიოტულ მოტივის შექრას ხელს უწყობდა ის კონკრეტულ-ისტორიული პირობები, რომელშიაც ვაჟას მოუხდა გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე“. იმავე რაიონის სოფ. ლეხაინდრაოს საშუალო სკოლის მოსწ. შ. კ-ი, იწყებს რა „ფიქრი მტკვრის პირას“ ანალიზს, წერს: „ლექსში „ფიქრი მტკვრის პირას“ პოეტს ასეთი მწარე დასკვნა გამოაქვს:

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი,  
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით იგი ეკმაროს“—

და განაგრძობს, — ნ. ბარათაშვილი სიყვარულის გრძნობაში და მის განცდაში ორ მხარეს ხედავს: „სილამაზეს“ და „მშვენიერებას“.

გეგმეპკორის რაიონის სოფ. კიწის საშუალო სკოლის მოსწავლე ნათ. პაპასკირის ნაშრომში ვკითხულობთ:

„თემურ წყობილებას თანდათან ნიადაგი ეცლებოდა როგორც მთის შვილი ვერ ურჩიდებოდა ასეთ ზრახვებს უდიდესი ჰუმანისტია და ის ამბობს

„სამშობლოს არვის წავართმევ,  
ჩვენც ნურავინ შეგვეცილება,  
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,  
შევდრებსაც კი გაეცინება“.

თბილისის მე-19 სკოლის მოსწავლეს კ-ს თხზულება თემაზე „პოეტის დანიშნულება ილ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ირ. ევდოშვილის მიხედვით“ შეადგენს რვეულის 4-გვერდს. აქედან ორი გვერდი პირდაპირ თემას არ ეხება.

აღნიშნული დეფექტები იმის შედეგია, რომ მრავალ სკოლაში ყურადღება არ ექცევა თხზულების გეგმით წერას, მოსწავლეებს არ აჩვენებენ აბზაცის ხმარებას. თხზულების წინა ნაწილის მომდევნო ნაწილიდან ლოდიკურად და სინტაქსურად დაკავშირებას.

ე) ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეები ვერ იჩენენ დამოუკიდებლობას. მათი ნაწერები ერთფეროვანია, ხშირად ნაშრომში მთელი აბზაცები მექანიკურად გადმოაქვთ სახელმძღვანელოდან ან სხვა ლიტერატურული წყაროებიდან. მათი მსჯელობა ნაწარმოების შესახებ ეყრდნობა არა ტექსტის ცოდნას, არამედ ამ ნაწარმოების შესახებ წაკითხულ ლიტერატურას. ზოგიერთ მოსწავლეს ემჩნევა ტენდენცია შეაჩიოს და თხზულებაში გამოიყენოს მყვირალა ფრაზები, რის გამო „ნათელი“ აზრი იკარგება. ქ. ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწ. კ. ნ. თხზულებაში ვკითხულობთ „1795 წელს კრწანისის ველზე გამართულ ომში დამარცხების შედეგად, როდესაც მწვავე და შემაზრზენი იყო მოგონება 1832 წლის შეთქმულების მარცხისა, ყოველივე ეს ჰქმნიდა ბურუსს და ქაოსს, ახშობდა საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ინტერესებს“. ტალერის საშუალო სკოლის მოსწავლე გ-უა წერს: „ამ პერიოდში მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა მტკიცე რეჟიმით გვირგვინდება“. კუმისის (თბილისის რაიონი) საშუალო სკოლის მოსწავლე ი. ზ-ის ნამუშევარში წერია: „უიმედო ქართველი ხალხი სასოწარკვეთილი ხავსს ეკიდებოდა, მაგრამ, აი, 1861 წელს შემოაფრქვია სხივები მძლავრმა სინათლემ ქაოსით მოცულ ქართველთა საზოგადოებაში. ამ სინათლის შემომტანები გახდნენ საქართველოს ღირსეულნი შვილნი თერგდალეულების სახით“.

ქუთაისის რაიონის სოფ. დღნარისის საშუალო სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე თხზულებას ასე იწყებს: „მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში შემოიჭრა ოფიციალური ლიტერატურა რომენტიზმი“.

ცხაკიას ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლის ნაშრომში წერია: „ვეფხის ტყაოსანი თავისი სენტენცია—ფარიზმებით ნაქარგა მჩქეფარებაა, სადაც გამოსახვის შინაგანი და გარეგანი რიტმიულობა ერთი მეორეს ეჯიბრება. ხოლო უმწვერვალეს განვითარებისას ერთი მეორეში გადადის და ერთი მეორეში შეწყობილი დიდი სიღრმით ეღერს“. ასეთ გამოთქმებს ვხვდებით სხვა მრავალ სკოლის მოსწავლეთა ნაწერებშიაც.

ცხადია, რომ აღნიშნული სკოლები არ აწარმოებენ საკმარის მუშაობას იმისათვის, რომ დანერგონ მოსწავლეებში წიგნზე მუშაობის ჩვევები, ასწავლონ მათ სხვადასხვა წყაროებით სარგებლობის წესები. არ ებრძვიან მოსწავლეთა მეტყველებაში ფრაზიორობასა და მრავალსიტყვაობას.

ვ) ზოგიერთ სკოლაში სათანადოდ ვერ არის დაყენებული კლასგარეშე კითხვა, რის შედეგად ამ სკოლების მოსწავლეთა წერითი ნამუშევრებში მოსწავლეები მხოლოდ პროგრამულ მასალას ეყრდნობიან და ისეთი თემის დამუშავებისას, როგორც არის „პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, გამოუყენებელია ვაჟას „ძალღიკა ხიმიკაური“, „მოხუცის ნაამბობი“ და სხვა პატრიოტული ხასიათის ნაწარმოებები.

ზ) მოსწავლეთა წერით ნაშრომებში ჯერ კიდევ დიდი როლდნობით გვხვდება სტილისტიკური ხასიათის შეცდომები, მაგალითად: „მისი მიზანი, რომელსაც უნდოდა რომ წასულიყო სამხედრო სასწავლებელში, ვერ აისრულა კოჭლობის გამო (ჩოხატაურის საშუალო სკოლა). „ლელა და კვირია ლაშქარს გაუღებს ბახტრიონი კარებს, რის შესრულებასაც ორივე გმირულად ეწირება“ (კულაშის საშუალო სკოლა—სამტრედიის რ.) „მისი მიზანი იყო სამშობლო ბედნიერი და აყვავებული დაენახა, რომელიც განიცდიდა ეროვნული დამოუკიდებელი ცხოვრების სიმწვავეს რუსეთის თვითმპყრობელური მონარქიისაგან (საგარეჯოს რ. სოფ. მანავის საშუალო სკოლა) „იგი თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო, რომელსაც გამოხატავდა თავის ლექსებში“ (მახარაძის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლა) „ხალხი უწევდნენ წინააღმდეგობას, იცავდნენ თავისუფლებას“ (გეგეჭკორის საშუალო სკოლა) და სხვ.

ნაწერებში ხშირად გვხვდება კრებითი სახელით გამოსატული ქვემდებარესთან შემასმენელ მრავლობით რიცხვში და სხვა სახის შეცდომები. თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომებიც. „სიამუშება“, „რომელშიდაც“, (ფოთის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლა) „მიათრებდა“, „ჩილის“ (გეგეჭკორის საშუალო სკოლა) „წყეფა“, „გადაქცია“, „მაშდამე“ (დაბა წნორი) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრ შეცდომას უშვებენ მოსწავლეები პუნქტუაციაში. მოსწავლეებმა არ იციან მძიმის ხმარება მიმართვით და ჩართულ სიტყვებში და ჩართულ წინადადებაში. ხშირად შინაარსობრივად და ენობრივად კარგად შესრულებული ნაშრომი სასვენი ნიშნების ხმარების მხრივ უამრავ შეცდომებს შეიცავს. ასე, მაგ., თელავის ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწ. რ-ისნაშრომი, ყოველმხრივ კარგად არის შესრულებული. მაგრამ მოსწავლე სასვენ ნიშნების ხმარებაში იჩენს უცოდინარობას, უშვებს 12 შეცდომას. დაბა წნორის ერთ-ერთი მოსწავლე მარტივ წინადადებაში ქვემდებარეს შემასმენელიდან მძიმეთი აცალკევებს („ნო-იანი წლები, ითვლება საქართველოში აღორძინების ხანად“. „ამ დროს უხდება ვაჟას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა“) და სხვ.

ასეთი შეცდომების არსებობა იმას ადასტურებს, რომ ამ სკოლებში გრამატიკის სწავლება ხდება განყენებულად, არ ტარდება საკმარის ვარჯიში ენის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად და სათანადო ჩვევების შესამუშავებლად, სათანადოდ ვერ აფასებენ სასვენი ნიშნების სწორად ხმარების ჩვევის მნიშვნელობას, არ ამახვილებენ მოსწავლეთა ყურადღებას ამ მხრივ დაშვებულ შეცდომებზე.

ზოგიერთ სკოლაში წერითი ნამუშევრების გასწორება ხშირად არ წარმოებს გულდასმითა და ყურადღებით, რის შედეგად მოსწავლის ნამუშევარში შეუმჩნეველი და გაუსწორებელია სინტაქსური, ორთოგრაფიული და პუნქტუალური ხასიათის შეცდომა, არასწორი და ბუნდოვანი გამოთქმები (ხობის, მუხურის, ქუთაისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლები და სხვ.).

მოსწავლეთა ნაშრომების ასეთი უყურადღებო გასწორების შემდეგ მასწავლებელი, ცხადია, ვერ დასახავს საჭირო ღონისძიებებს არსებული ნაკლის გამოსასწორებლად, ხოლო მოსწავლეებს ექნებათ ყალბი რწმენა, რომ ისინი უშეცდომოდ წერენ, ენას სა-

უკეთესოდ ფლობენ და საჭირო ათარ არის თავისთავზე სისტემატურად იმუშაონ.

### ვბრძანებ;

1. დაევალოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ყოველდღიური მუშაობის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ „მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წ. 1-ლი აპრილის დადგენილებით.

ა) სათანადო ადგილი დაუთმონ ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას, მხატვრული ადგილების ზეპირად დასწავლას, წინაკლასებში შესწავლილი ლიტერატურული მასალის განმეორებას;

ბ) ფართოდ გაშალონ კლასგარეშე კითხვა. შეადგინონ თვითეული კლასისათვის ხელმისაწვდომი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სია, სისტემატურად შეამოწმონ მოსწავლეთა ნაკითხობა და ყოველი მეოთხედის ბოლოს შეაჯამონ მოსწავლეთა მუშაობა ამ მხრივ;

ჩამოაყალიბონ ლიტერატურული წრეები და უზრუნველყოფნათი სისტემატური, გეგმიანი მუშაობა;

გ) ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა დამოუკიდებლობას თხზულებათა წერის დროს, განამტკიცონ თხზულების გეგმის მიხედვით წერის ჩვევა;

დ. შეასწავლონ მოსწავლეებს სახელმძღვანელოთი და დამატებითი კრიტიკულ-ისტორიული ხასიათის შრომებით სარგებლობის წესები და სისტემატურად შეამოწმონ თუ რამდენად მოხერხებულად და წესიერად იყენებენ მოსწავლეები სახელმძღვანელოსა და სხვა დამხმარე ლიტერატურას;

ე) წერითი ნაშრომების გულდასმით გასწორების შემდეგ მოსწავლეებს მისცენ ფართო ახსნა-განმარტება მათ მიერ დაშვებულ ყოველგვარი (ლოლიკური, სინტაქსური, ორთოგრაფიული, პუნქტუალური) შეცდომების შესახებ და მიადწიონ იმას, რომ როგორც წესი ყველა მოსწავლე ახდენდეს შეცდომათა შესწორებას მასწავლებლის მითითების მიხედვით. მე-8—მე-10 კლასებში ენობრივი შეცდომების ანალიზის დროს მასწავლებელი დაეყრდნოს შეიძლიან სკოლაში მიღებულ ცოდნა-ჩვევებს, გააღრმავოს და განამტკიცოს ეს ჩვევები.

2. სკოლის დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა დააწესონ მტკიცე ზედამხედველობა „მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს

სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წ. 1-ლი აპრილის დადგენილებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ სხვა დირექტივების სკოლის ცხოვრებაში სრულად გასატარებლად. გეგმიანად და შინაარსიანად წარმართონ ქართული ენისა და ლიტერატურის სავნობრივი კომისიების მუშაობა, სისტემატურად შეამოწმონ მუშაობა ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისა და შედეგები განიხილონ პედსაბჭოს სხდომებზე.

3. ინსპექტორებმა და მეთოდისტებმა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გამოკვლევის დროს ჩაატარონ წერიტი. საკონტროლო მუშაობა, მასწავლებელთან ერთად გაასწორონ და შეაფასონ ნამუშევრები, ამის მიხედვით გააკეთონ დასკვნა მოსწავლეთა წერიტი მეტყველების კულტურის მდგომარეობის შესახებ და დასახაონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

4. დაწყებით და საშუალო სკოლების სამმართველომ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად შეადგინოს და ა. წ. დეკემბრის ბოლომდე გამოსცეს მეთოდოკური წერილების კრებული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალურ საკითხებზე.

5. გაზეთმა „საბჭოთა მასწავლებელმა“ სისტემატურად გააშუქოს საუკეთესო სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში.

6. ეს ბრძანება განხილული იქნეს საქართველოს ყველა შვიდწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი **3. კუპრაძე**

## ბრძანება № 1531

საქართველოს სსრ განათლების სახალხო  
კომისარიატისადმი

1945 წ. 10 ივლისი

გავეცანი რა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში 1944-45 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის მასალებს, აღვნიშნავ, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახეობებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებამ და მთელი რიგი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარეს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების გახსნისა და დაკომპლექტების საქმეში, სწორად დაგეგმეს სკოლების ქსელი, დააკომლექტეს კლასები მოსწავლეთა ცოდნის მიხედვით, სკოლებს შეუქმნეს მატერიალური ბაზა ნორმალური მუშაობისათვის. სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხელმძღვანელობდნენ სკოლებს, ატარებდნენ დირექტორებისა და მოსწავლეების თათბირებს, რომლებზედაც ობილადნენ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში მუშაობის მეთოდებს ამ სკოლების სპეციფიკის გათვალისწინებით. სახავდნენ სათანადო ღონისძიებებს საპროგრამო მასალის ხარისხიანად გავლის მიზნით. ამ საქმეში სკოლების დიდ უმრავლესობას აქვს მნიშვნელოვანი შედეგი (ხაშუღი, ზესტაფონი, ლავოდები, გურჯაანი, სამტრედია, ხობი, ოჩამჩირე და სხვ.).

მთელი რიგი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელები დახმარებას უწევდნენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს; მოსწავლეებს როგორც წესი, არ გზავნიდნენ სამუშაოდ შორეულ ადგილებში, შესაძლებლობის მიხედვით ამუშავებდნენ ერთ ბრიგადაში, ერთდროულად ანთავისუფლებდნენ სამუშაოდან და უქმნიდნენ მოსწავლეებს პირობებს ნორმალური მეცადინეობისათვის (სამტრედია, გურჯაანი, ჭიათურა, თეთრიწყარო და სხვ.). ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები სისტემატურად ისმენდნენ მოხსენებებს სკოლების

მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და უსახავდნენ მათ სათანადო ღონისძიებებს მუშაობის გაუმჯობესებისათვის (ხაშური, გურჯაანი, თეთრიწყარო, ბორჯომი, გორი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ტაფთაძის და სხვ.).

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში ჩატარებული 1944-45 სასწავლო წელს დამაკმაყოფილებლად ჩაატარა სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა. სკოლები უზრუნველყოფილი იყვნენ სამუშაო გეგმებით, ხარისხვნად გაიარეს განსახკომის მიერ დამტკიცებული პროგრამებით გათვალისწინებული მასალები ყველა საგანში (ზესტაფონის, სამტრედიის, ხაშურის, ქობულეთის, ცხაკაიას, გურჯაანის, ონის, ოჩამჩირის რაიონები).

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების უმრავლესობამ მუშაობის შედეგად 1944-45 სასწავლო წლის დასასრულს დაწვებული იყო საგაზაფხულო გამოცდებზე 19.922 მოსწავლე, ამათგან დაასრულა მე-4 და მე-7 კლასი—4.309 კაცი, გადაყვანილი იქნა შემდეგ კლასებში—8.026 კაცი, მიეცა საშემოდგომო გამოცდები—2.488 კაცი, დატოვებული იქნა იმავე კლასებში—5.099 კაცი.

ამასთან ერთად რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ქსელის გაშლასა და ამ სკოლების მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მაგალითად, ბოგდანოვკის, ყაზბეგის და ქლუხორის რაიონებში 1944-45 სასწავლო წელს არ იყო უზრუნველყოფილი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ქსელის გაშლა დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ნაწილობრივ ასეთივე მდგომარეობა იყო აღიგნესა და ასპინძის რაიონებშიც.

წითელი წყაროს რაიონში და აფხაზეთის ასსრ-ში, მოსწავლეთა კონტინენტის არასწორი აღრიცხვისა და ამის გამო არასწორი ცნობების წარმოდგენის შედეგად, დაგეგმილი იყო სკოლებისა და კლასების მეტი რაოდენობა, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა, ამასთანავე მთლიანად ვერ იქნა შენარჩუნებული ის სკოლები და კლასები, რომლებიც გახსნილი იყო სასწავლო წლის დასაწყისში. წლის ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს გახსნილი კლასები და მოსწავლეთა კონტინენტი აგრეთვე ქუთაისის, ჩოხატაურის, დუშეთის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის, ბაშკიჩეთის, ვანის და ზოგიერთ სხვა რაიონებში. ეს, გარემოება აიხსნება მოსახლეობის მოძრაობით, ამ სკოლების მოსწავლეთა კონტინენტის მუშათა ბატალიონებისა და წითელი არმიის რი-

გებში გაწვევით და აგრეთვე სახალხო განათლების ადგილობრივ განყოფილებათა სუსტი მუშაობითა და სკოლებზე მათის მხრივ ოპერატიული ხელმძღვანელობის უქონლობით. სახალხო განათლების განყოფილების სუსტი მუშაობის შედეგია აგრეთვე რომ არხილოსკალოს (წითელი წყაროს რაიონი) სკოლაში ადგილი ჰქონდა გამოცდების ჩაშლას მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო რუისპირის, იყალთოს და ქვემოხობაშენის (თელავის რ.) სკოლებში სწავლება ტარდებოდა უგეგმოდ და თვალსაჩინოების გარეშე, რის გამო სწავლების ხარისხი დაბალი იყო და საპროგრამო მასალა ზერელედ გავლილი.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები სათანადო დახმარებას არ უწევდნენ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს, ვზავნიდნენ ამ სკოლების მოსწავლეებს შორეულ სამუშაოებზე, რაც იწვევდა ნორმალური მეცადინეობისათვის ხელისშემლას (კასპის რაიონის მეტეხის, ზემონანდაკის და ლამისყანის, ახალციხის რაიონის მუსხის და ანდრიაშმიწის, სიღნაღის რაიონის წნორის სკოლები და სხვ.).

თიანეთის რაიონის ორხევის, ნადოგარისა და სიმონიანთხევის სკოლებში ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლას ლიმიტით განკუთვნილი ნავთის ადგილზე მიუტანლობის გამო. ასეთივე მდგომარეობა იყო ახმეტის რაიონის დუისისა და მატაანის სკოლებშიაც.

1945-46 სასწავლო წელს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, **ვბრძანებ:**

1. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსაკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებამ და სახალხო განათლების ყველა სარაიონო განყოფილების გამგეებმა 1945-1946 სასწავლო წელს გადაჭრით გააუმჯობესონ ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე, რისთვისაც:

ა. ჩაატარონ ა. წ. 20 აგვისტომდე დადგენილი წესისამებრ ზუსტი აღრიცხვა სკოლის გარეშე დარჩენილი სოფლის ახალგაზრდობისა, 14 წლის ასაკის ზევით.

ბ. მოსწავლეთა კონტინგენტის საფუძველზე გადასინჯონ დაწყებითი და შვიდწლიანი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების, აგრეთვე მასობრივ სკოლებთან არსებულ კლასების ქსელი, შეავსონ მცირერიცხოვანი კლასები მოსწავლეებით, ხო-

ლო ახლად გასახსნელი სკოლებსა და კლასების გეგმა წარმოადგინონ განსახკომში ა. წ. 25 აგვისტომდე.

გ. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების გარეშე ჩენილ მოსწავლეთა კონტინგენტის აღრიცხვის სათანადოდ რუნველსაყოფად მკიდრო კავშირი იქონიონ ადგილობრივ კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ამასთანავე ჩააბან ამ საქმეში როგორც სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების, ისე მასობრივი სკოლების დირექტორები (გამგეები) და მასწავლებლები.

დ. უზრუნველყონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლები სათანადო ბინით, განათებით, გათბობით და კვალიფიციური მასწავლებლებით, მოსწავლეები კი სახელმძღვანელოებით და რვეულებით მასობრივი სკოლების მოსწავლეთა თანაბრად რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ფონდიდან.

ე. მიიღონ გადამჭრელი ზომები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მოსწავლეთა შორეულ ადგილებში სამუშაოდ გაგზავნის პრაქტიკის წინააღმდეგ და მომავალ 1945-46 სასწავლო წელს შეუქმნან მოსწავლეებს ყოველგვარი პირობა ნორმალური მუშაობისათვის.

ვ. დაავალონ მასწავლებლებს ზაფხულის პერიოდში საქიროების მიხედვით კონსულტაციები ჩაუტარონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ჩამორჩენილ მოსწავლეებს. ამ მუშაობის ჩატარების დროს დირექტორებმა და მასწავლებლებმა იქონიონ მკიდრო კავშირი კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და მტს-ებთან, სადაც საშემოდგომო გამოცდამიცემული მოსწავლეები მუშაობენ.

ზ. შეამოწმონ, თუ როგორ ეხმარებიან სკოლები და კოლმეურნეობები მოსწავლეებს საშემოდგომო გამოცდებისათვის მზადების საქმეში, გაუწიონ მათ ამ მუშაობაში სათანადო დახმარება, საქიროების შემთხვევაში შემოწმების შედეგები დასვან ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში სათანადო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

2. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებლებმა იქონიონ სამუშაო გეგმები და პროგრამები, რომლებიც განხილული უნდა იქნას საგნობრივ კომისიებში.

3. სარაიონო პედკაბინეტებმა გააძლიერონ მეთოდური ხელმძღვანელობა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებლებზე და დახმარება გაუწიონ მათ სამუშაო გეგმის შედგენაში.

4. სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებებმა სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარონ სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლების მასწავლებელთა თათბირები, რომლებზედაც განიხილონ სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლების მუშაობის მეთოდები ამ სკოლების სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. დაევალოს განსახკომის მომარაგების განყოფილების უფროსს ამხ. მელიქაძეს უზრუნველყოფის სოფლის ახალგაზრდობის სკოლები საჭირო რაოდენობის ნავთით და ლამპებით.

6. დაისვას საკითხი საქ. აღკვ ც. კ-ის წინაშე, რათა საჭირო მითითებანი მისცეს აღკვ ადგილობრივ ორგანიზაციებს სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლებისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენის შესახებ (სკოლისგარეშე დარჩენილ მოსწავლეთა აღრიცხვა და სწავლებაში ჩაბმა, მეცადინეობაზე მათი დასწრება, სკოლის გათბობა-განათების მოწესრიგება, სათანადო ინვენტარით მომარაგება).

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო და სარაიონო განყოფილებებმა:

ა. დროულად დააყენონ საკითხი ადგილებზე ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების წინაშე სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისა და მათი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნის შესახებ.

ბ. ა. წ. 15 სექტემბრამდე შეამოწმონ სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობა და შედეგები აცნობონ განსახკომს ა. წ. 20 სექტემბრამდე.

8. განსახკომის პოლიტგანმუშაობის სამმართველომ შეამოწმოს რესპუბლიკის სამ რაიონში (შერჩევით) სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობა და შედეგები მომახსენოს მე.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი

3. კუპრაძე.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 26 ივლისის  
№ 836 დადგენილების დანართი № 1

## ღებულება

### სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლების შესახებ

#### I. საერთო დებულებანი

1. სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლები ეწყობა თანახმად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 26 ივლისის № 836 დადგენილებისა „სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლების ორგანიზაციის შესახებ“. სწავლება სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლებში სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან მოუწყვეტლად.

2. სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლები წარმოადგენენ სახელმწიფო საერთო-საგანმანათლებლო სკოლებს, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული მისცენ ახალგაზრდობას დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლების მოცულობის მომზადება, აღზარდონ ახალგაზრდობა სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულების სულისკვეთებით.

3. სკოლები ეწყობა დიდ სოფლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში და იხსნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომიზის გადაწყვეტილებებით.

4. სკოლები იხსნება ორი ტიპისა: დაწყებითი—I, II, III და IV კლასების შემადგენლობით და შვიდწლიანი—I-VII კლასების შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეთა რაოდენობა სკოლის გახსნისათვის საკმარისი არ არის, იხსნება ცალკეული კლასები საერთო-საგანმანათლებლო მომზადების მიხედვით.

5. ვაჟებისა და ქალების სწავლა სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლებში სწარმოებს ერთად.

6. სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლები იმყოფებიან საქართველოს სსრ განსახკომისა და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში. სოფლის ახალგაზრდობის სა-

ლამოს სკოლებზე ყოველდღიური ხელმძღვანელობა, მათი, და-  
კომპლექტება მასწავლებლებით, დირექტორებითა და გამგეებით  
და მომარაგება სახელმძღვანელოებით, სასწავლო წიგნებითა და  
სასკოლო-საწერი ხივებით ეკისრება განსახკომისა და სახალხო  
განათლების ადგილობრივ ორგანოებს.

## II. მოსწავლეები

7. სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლებში მიიღებიან  
ახალგაზრდობა და მოზარდები 14 წლის ასაკიდან და სწავლობენ  
ამ სკოლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოდან მოუწყვეტლად.

8. განცხადებათა მიღება ახალგაზრდობისაგან სწარმოებს  
1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე, ხოლო სკოლაში ჩარიცხვა 20  
ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

წერა-კითხვის უცოდინარნი მიიღებიან პირველ კლასში, დანა-  
რჩენები კი ჩარიცხებიან ამა თუ იმ კლასში იმისდამხედვით,  
თუ რა დოკუმენტი მოეპოვება მათ განათლების შესახებ.

განათლების დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში შესა-  
ბამის კლასში მიღება სწარმოებს შესამოწმებელი გამოცდის სა-  
ფუძველზე.

9. სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლაში კურსდამთავ-  
რებულებს ეძლევათ მოწმობა საქართველოს სსრ განსახკომის  
მიერ დაწესებული ფორმით.

## III. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

10. სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლები მუშაობენ  
საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული სასწავლო  
გეგმებით და პროგრამებით.

11. მეცადინეობა სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლებ-  
ში სწარმოებს კვირაში 5-ჯერ, სულ 22 საათს (ორ დღეს ხუთ-  
ხუთ საათს, სამ დღეს ოთხ-ოთხ საათს).

12. მოსწავლეთა რიცხვი ყოველ კლასში წესდება არაუმეტეს  
20 კაცისა.

13. სასწავლო წლის ბოლოს მუშა ახალგაზრდობის სკოლის  
ლაში იწყება 1 ნოემბრიდან და გრძელდება 1 მაისამდე. სასწავ-  
ლო წლის დამლევს მოსწავლეებს ეწყებათ გამოცდები, რომელ-  
თა ჩატარების წესიც ისაზღვრება საქართველოს სსრ განსახკო-  
მის ინსტრუქციით.

14. სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლებში სასწავლო  
მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვე-

თილი, რომელიც ტარდება მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მტკიცედ განსაზღვრული ცხრილით და ამ კლასის მოსწავლეთა მუდმივი შემადგენლობით. გაკვეთილის ხანგრძლივობა ისაზღვრება 45 წუთით.

მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე აღრიცხვის ფორმას წარმოადგენს ინდივიდუალური, სისტემატურად წარმოებული გამოიკითხვა გაკვეთილებზე და დაწესებული ნიშნები.

#### IV. სკოლის ხელმძღვანელობა

15. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლას სათავეში უდგას სკოლის გამგე (დირექტორი), რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განსახკომი შესაბამისი პედაგოგიური განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მქონე პირთაგან.

სკოლის გამგეს (დირექტორს) შეუძლია აწარმოოს მეცადინეობა ერთერთ სკოლაში.

16. სკოლის გამგე (დირექტორი) სრული პასუხისმგებელია მთელი სასწავლო-აღმზრდელი მუშაობისათვის სკოლაში და აგრეთვე სკოლის მთელი მეურნეობის მდგომარეობისათვის.

17. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მასწავლებლებს ნიშნავს სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.

#### V. ფინანსირება და ანგარიშობა

18. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლას აქვს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა.

19. სკოლა ეწევა საქმისწარმოებას და ადგენს სტატისტიკურ ანგარიშს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დაწესებული ფორმებითა და მის მიერ განსაზღვრულ ვადებში და პერიოდულად უდგენს მუშაობის ანგარიშს სახალხო განათლების განყოფილებას.

20. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და მას აქვს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დაწესებული ნიშნის საკუთარი ბეჭედი.

21. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მთელი სასწავლო მოწყობილობა შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება გასხვისებულ იქნას სკოლებისაგან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილების გარეშე.

დატკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო  
კომისარიათა საბჭოს მიერ 1944 წლის 16 მაისს № 501.

## ღებულება

### მუშა ახალგაზრდობის სკოლის შესახებ

#### 1. ზოგადი დებულებანი

1. მუშა ახალგაზრდობის სკოლა არსდება საწარმოებში მომუშავე მოზარდთა სწავლების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1943 წლის 5 აგვისტოს № 1129 დადგენილების საფუძველზე.

მუშა ახალგაზრდობის სკოლაში სწავლა ტარდება წარმოებისაგან მოუწყვეტლად.

2. მუშა ახალგაზრდობის სკოლის მიზანია მისცეს ახალგაზრდობას საერთო-საგანმანათლებლო მომზადება შეიძწოდოსა და საშუალო სკოლის მოცულობით, აღზარდოს ახალგაზრდობა სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა და საბჭოთა ზელისუფლებისადმი ერთგულების სულიკვეთებით.

3. მუშა ახალგაზრდობის სკოლა ერთ ან რამდენიმე საწარმოში მომუშავე ახალგაზრდობის მოსამზადებლად და იხსნება საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებით.

4. მუშა ახალგაზრდობის სკოლა არსდება ორი ტიპისა: შეიძწოლიანი მე-5, მე-6, მე-7 კლასების შემადგენლობით და საშუალო სკოლა მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კლასების შემადგენლობით. მუშა ახალგაზრდობის სკოლასთან შეიძლება მოეწყოს მოსამზადებელი ჯგუფები იმ მოზარდთათვის, რომლებსაც დაწყებითი სკოლა არ დაუმთავრებიათ.

5. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში ვაჟებისა და ქალების სწავლა ერთად სწარმოებს.

6. მუშა ახალგაზრდობის სკოლა იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში. საქართველოს სსრ განსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს და საქმრეთ-ოსეთის ავ-

ტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილება და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ევალება მუშა ახალგაზრდობის სკოლებზე ყოველდღიური ხელმძღვანელობა, მათი დაკომპლექტება მასწავლებლებითა და დირექტორებით, მათი მომარაგება სახელმძღვანელოებით, სასწავლო ხელსაწყოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.

სამრეწველო სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელები და საწარმოთა დირექტორები უზრუნველყოფენ მუშა ახალგაზრდობის სკოლებს ბინებით, მოწყობილობით, განათებითა და გათბობით, სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ქმნიან საჭირო პირობებს სასწავლო მეცადინეობაზე მოზარდთა დასწრებისათვის (მოსწავლეთა განთავისუფლება ზედმეტი სამუშაოებისაგან და შრომითი სამუშაოებზე მობილიზაციისაგან სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში).

## II. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

7. წარმოების პირობების შესაბამისად, მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მეცადინეობა სწარმოებს ცვლების წესით (დღის, დღის, საღამოს ცვლები).

8. მუშა ახალგაზრდობის სკოლის თითოეულ კლასში მოსწავლეთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 20 კაცს.

9. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში სასწავლო წელი იწყება 1-ლ სექტემბერს, მთავრდება 1-ლ აგვისტოს და დაიყოფა სასწავლო ნახევარწლებად: პირველი ნახევარი წელი—პირველი სექტემბრიდან 15 თებერვლამდე და მეორე—15 თებერვლიდან 1-ლ აგვისტომდე.

სასწავლო წელი შეიცავს 48 სამუშაო კვირას, კვირაში 9 სასწავლო საათით (სამი დღე, დღეში სამი საათი).

10. მუშა ახალგაზრდობის სკოლა მუშაობს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმისა და საერთო-საგანმანათლებლო შეიღწეულებისა და საშუალო სკოლების მე-5—მე-10 კლასების პროგრამების მიხედვით.

11. სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას მუშა ახალგაზრდობის სკოლაში წარმოადგენს გაკვეთილი, რომელსაც მასწავლებელი ატარებს განსაზღვრულ კლასთან, მოსწავლეთა მუდმივი შემადგენლობით და მტკიცე ცხრილის მიხედვით. დამატებით გაკვეთილებისა ტარდება კონსულტაცია იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც მასწავლებელთა დამატებითი დახმარება

ესაქიროებათ. გაკვეთილის ხანგრძლივობა დადგენილია 45 წუთად.  
12. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება სწარმოებს სისტემატურად გაკვეთილებზე ზეპირი კითხვის, საკლასო წერიტი და ლაბორატორული მუშაობის ჩატარების, საშინაო სამუშაოთა შესრულების შემოწმების მეშვეობით და შეფასდება იმ ნიშნების მიხედვით, რაც დაწესებულია შეიღწელებისა და საშუალო სკოლებისათვის.

13. სასწავლო წელი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლა-მე-5—მე-10 კლასებში ტარდება კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები, რომელთა ჩატარების წესი დადგენილია საქართველოს სსრ განსახკომის ინსტრუქციით.

### III. მოსწავლეთა შესახებ

14. განცხადებათა მიღებას ფაბრიკებსა, ქარხნებსა, მაღაროებში, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოებში და დაწესებულებებში მომუშავე ახალგაზრდობისაგან, რომელთაც სურთ ისწავლონ მუშა ახალგაზრდობის სკოლაში, აწარმოებს სკოლის დირექტორი 1-დან 20 აგვისტომდე, ხოლო ჩარიცხვას—20 აგვისტოდან 1-ლ სექტემბრამდე.

მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მიღების შესახებ განცხადების შეტანისას წარდგენილი უნდა იქნას განათლების საბუთი.

15. ის პირები, რომელთაც აქვთ საბუთი შეიღწელებისა და საშუალო სკოლის მე-4—მე-9 კლასების დამთავრების შესახებ, ზიილებიან მუშა ახალგაზრდობის სკოლის სათანადო კლასში უგამოცდოდ. იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლაში შესვლის მსურველს განათლების საბუთი არ მოეპოება, სათანადო კლასში ჩარიცხვა სწარმოებს შემოწმებითი გამოცდის საფუძველზე.

16. მუშა ახალგაზრდობის სკოლის ის მოსწავლენი, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ კლასიდან კლასში გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებს და ყველა ძირითად საგანსა და ყოფიქვევაში მიიღებენ ნიშანს „5“, დაჯილდოებული იქნებიან ქების სიგელებით.

17. ის პირები, რომლებიც დაამთავრებენ მუშა ახალგაზრდობის შეიღწიან სკოლას, მიიღებენ მოწმობას, ხოლო ის პირები, რომლებიც დაამთავრებენ მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას, მიიღებენ ატესტატს სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების ხელის მოწერიტ და სარგებლობენ ყველა უფლებებით, რაც გათვალისწინებულია იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც და-

ამთავრეს საერთო-საგანმანათლებლო შვიდწლედო და სამშუალო სკოლა.

18. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში იქმნება მოსწავლეთა ომნიპარტიული განიზაციები იმ დებულების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ განსახკომის მიერ საქართველოს ალტერნატიული კომიტეტთან შეთანხმებით.

#### IV. სკოლის ხელმძღვანელობა

19. მუშა ახალგაზრდობის სკოლას სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ნიშნავს საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება (სამშუალო სკოლისათვის) ან აქვთ განათლება არა ნაკლები სამასწავლებლო ინსტიტუტისა (შვიდწლიანი სკოლისათვის), აქვთ აგრეთვე პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლები სამი წლისა.

მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს შეუძლია ასწავლოს თავის სკოლაში ერთერთი სასწავლო საგანი.

20. მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობს სკოლის მთელს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, თავმჯდომარეობს პედაგოგიურ საბჭოში, ხელმძღვანელობს სკოლის სამეურნეო ფინანსიურ საქმიანობას და პასუხისმგებელია ყველა, იმ დადგენილებისა და ინსტრუქციის ზუსტად შესრულებისათვის, რომელიც მუშა ახალგაზრდობის სკოლას შეეხება.

თავის მუშაობას სკოლის დირექტორი აწარმოებს ადგილობრივ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებულად.

21. მუშა ახალგაზრდობის იმ სკოლაში, რომელსაც აქვს არა-ნაკლები 6 კლასისა, წესდება სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობა.

სასწავლო ნაწილის გამგეს, სკოლის დირექტორის წარდგენით, ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება (სამშუალო სკოლისათვის) ან აქვთ განათლება არა ნაკლები სამასწავლებლო ინსტიტუტისა (შვიდწლიანი სკოლისათვის), აქვთ აგრეთვე პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლები 3 წლისა.

სასწავლო ნაწილის გამგეს შეუძლია ასწავლოს თავის სკოლაში ერთ ერთი სასწავლო საგანი.

22. სასწავლო ნაწილის გამგე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის წინაშე სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის ორგანიზაციისათვის, ადგენს სასწავლო მეცადინეობის ცხრილს, კონტროლს უწევს სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებას, თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა წარმატებასა და დისციპლინას, საჭირო დახმარებას უწევს მუშაობაში მოსწავლეთა ორგანიზაციას, ხელმძღვანელობს და წარმართავს მასწავლებელთა მეთოდურ მუშაობას, დირექტორის არყოფნის დროს ასრულებს მის მოვალეობას.

23. მუშა ახალგაზრდობის სკოლის მე-5—მე-7 კლასებში მასწავლებლად შეიძლება იყოს ისპირი, რომელსაც აქვს განათლება არანაკლები სამასწავლებლო ინსტიტუტისა, ხოლო მე-8—მე-10 კლასებში, — რომელთაც დამთავრებული აქვთ პედაგოგიური ინსტიტუტი ან უნივერსიტეტი.

მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელს ნიშნავს საქართველოს სსრ განსახკომი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ასსრში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ნიშნავს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარი და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილების ფამგე და ამტკიცებს საქართველოს სსრ განსახკომი.

24. მუშა ახალგაზრდობის სკოლის თითოეულ კლასში არც კლასის ხელმძღვანელი, რომელსაც სკოლის დირექტორი ნიშნავს სკოლის ყველაზე უფრო გამოცდილ მასწავლებელთაგან.

კლასის ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

25. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში არსდება პედაგოგიური საბჭო სკოლის დირექტორის თავმჯდომარეობითა და სასწავლო ნაწილის გამგისა და ყველა მასწავლებლის შემადგენლობით. პედაგოგიური საბჭო მოქმედებს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

## V. ფინანსირება და ანგარიშგება

26. მუშა ახალგაზრდობის სკოლას აქვს თავისი წლიური ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სარაიონო (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტი.

27. მუშა ახალგაზრდობის სკოლა აწარმოებს საქმის წარმოებას, სტატისტიკურ ანგარიშგებას იმ ფორმებისა და ვადების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ-ის სახკომის მიერ, და პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავის მუშაობაზე სახალხო განათლების რაიონულ (საქალქაო) განყოფილებას.

28. მუშა ახალგაზრდობის სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული ნიშნის ბეჭედი.

29. მუშა ახალგაზრდობის სკოლის მთელი სასწავლო მოწყობილობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება გასხვისებულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილების გარეშე.

  
საქართველოს  
საბჭოთა  
საზღვრო  
სამართლებრივი  
სისტემა

**სოფლის ახალგაზრდობის, მუშა ახალგაზრდობის  
და მოზდილთა სკოლების სასწავლო გეგმების გან-  
მარტმებითი ბარათი.**

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლა იწყება 1 ნოემბერს, მთავრდება 1 მაისს და დაიყოფა ნახევარწლებად: პირველი ნახევარი წელი—1 ნოემბრიდან 31 იანვრამდე და მეორე—1 თებერვლიდან 1 მაისამდე სასწავლო წლის განგრძლივობა განისაზღვრება, 25 კვირით, კვირაში 22 საათი. კვირაში მეცადინეობენ 5 დღეს, აქედან 2 დღე ხუთ-ხუთი საათი და 3 დღე ოთხ-ოთხი საათი.


მუშა ახალგაზრდობის სკოლაში სასწავლო წელი იწყება 1 სექტემბერს, მთავრდება 1 აგვისტოს და დაიყოფა სასწავლო ნახევარწლებად: პირველი ნახევარი წელი—1 სექტემბრიდან 15 თებერვლამდე და მეორე—15 თებერვლიდან 1 აგვისტომდე. სასწავლო წელი შეიცავს 48 სამუშაო კვირას, კვირაში 10 საათი გაკვეთილისათვის და 10 საათი კონსულტაციისათვის.

წარმოების პირობების შესაბამისად, მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მეცადინეობა სწარმოებს ცვლების წესით (დილის დღის, საღამოს ცვლები).

მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლაში სწავლა იწყება 1 სექტემბერს და სასწავლო წლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 33 კვირით. სასწავლო წელი იყოფა მეოთხედებად. მოზრდილთა სკოლა კვირაში მუშაობს ხუთ დღეს, დღიური დატვირთვა 5-6 საათი.

1945-46 სასწავლო წელში სოფლის ახალგაზრდობის საღამოს დაწყებითი სკოლები (1-4 კლ.) იმუშავენ ახალი სასწავლო გეგმით. ისტორიის, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების სწავლება, როგორც დამოუკიდებელი საგნებისა, გათვალისწინებულია მეოთხე კლასიდან; ამ საგნების საათები მესამე კლასში (4 საათი) ეთმობა დედა-ენას და თითო საათი რუსულ ენასა და არითმეტიკას. გარდა ამისა მეორე კლასში რუსული ენის საათები გადიდებულია ერთი საათით. ქართული ენის, რუსული ენის, არითმეტიკის, ბუნებისმეტყველების, ისტორიის და გეოგრაფიის სწავლების შესახებ გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ 1945 წლის 10 აგვისტოს № 3 (829-ში) გამოქვეყნებული მეთოდური მითითება ვრცელდება სოფლის ახალგაზრდობის დაწყებითი სკოლაზე, მუშა ახალ-

გაზრდობის და მოზრდილთა სკოლების მოსამზადებელ კლასებზე. სოფლისა და მუშა ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლები მუშაობენ მასობრივი სკოლების პროგრამებით.



საქ. სსრ განსახკომის პოლიტგანმუშავების სამმართველოს  
უფროსი ა. გაბისონია.

ვამტკიცებ. საქ. სსრ განათლების  
სახალხო კომისარი ვ. კუბრაძე.

სამართველო სსრ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს ქარ-  
თული დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლის სასწავლო გეგმა  
1945—1946 სასწავლო წლისათვის

№ რიგ.	ს ა გ ნ ე ბ ი	კვირეული საათები						
		1-ლი კლ.	მე-2 კლ.	მე-3 კლ.	მე-4 კლ.	მე-5 კლ.	მე-6 კლ.	მე-7 კლ.
1	ქართული ენა . . . . .	14	12	11	6	4	4	2
2	ქართული ლიტერატურა . . . . .	—	—	—	—	2	2	3
3	რუსული ენა . . . . .	—	3	5	5	4	5	5
4	არიტმეტიკა . . . . .	8	7	6	6	6	—	—
5	ალგებრა . . . . .	—	—	—	—	—	2	2
6	გეომეტრია . . . . .	—	—	—	—	—	2	2
7	ბუნებისმეტყველება . . . . .	—	—	—	2	2	1	2
8	ისტორია . . . . .	—	—	—	2	2	2	1
9	სსრკ კონსტიტუცია . . . . .	—	—	—	—	—	—	1
10	გეოგრაფია . . . . .	—	—	—	1	2	2	1
11	ფიზიკა . . . . .	—	—	—	—	—	2	2
12	ქიმია . . . . .	—	—	—	—	—	—	1
კვირეული საათების ჯამი . . . . .		22	22	22	22	22	22	22

**საქართველოს სსრ მოზარდობა შვიდწლიანი და საშუალო  
ქართული სკოლის სასწავლო გეგმა  
1945—1946 სასწავლო წლისათვის**

№№ რიგ.	საგნების დასახელება	მოსამ- ზარდებ- ში კლასი	მე-5 კლ.	მე-6 კლ.	მე-7 კლ.	მე-8 კლ.	მე-9 კლ.	მე-10 კლ.
1	ქართული ენა . . . . .	6	4	4	3	—	—	—
2	ქართული ლიტერატურა . . . . .	—	2	2	2	3	3	4
3	რუსული ენა . . . . .	5	5	5	5	2	2	2
4	რუსული ლიტერატურა . . . . .	—	—	—	—	2	3	2
5	არითმეტიკა . . . . .	6	7	—	—	—	—	—
6	ალგებრა . . . . .	—	—	3	2	2	2	2
7	გეომეტრია . . . . .	—	—	2	2	2	2	2
8	ტრიგონომეტრია . . . . .	—	—	—	—	—	1	2
9	ბუნებისმეტყველება . . . . .	2	2	2	2	2	1	—
10	ისტორია . . . . .	3	2	2	2	3	3	2
11	საქართველოს ისტორია . . . . .	—	—	—	—	—	—	2
12	სსრ კავშირის კონსტიტუცია . . . . .	—	—	—	1	—	—	—
13	გეოგრაფია . . . . .	2	2	2	2	2	2	—
14	ფიზიკა . . . . .	—	—	2	2	3	2	3
15	ქ ი მ ი ა . . . . .	—	—	—	1	2	2	2
16	ასტრონომია . . . . .	—	—	—	—	—	—	1
17	უცხო ენა . . . . .	—	1	1	1	2	2	2
18	ხაზვა . . . . .	—	—	—	—	—	—	1
კვირეული საათების ჯ ა მ ი .		24	25	25	25	25	25	27

საქ. სსრ განსახკომის პოლიტგანმუშავების  
სამმართველოს უფროსი ა. გაბისონია.

## პოლიტსაგანმანათლებლო სწავლების 1945-46 სასწავლო წლის გეგმის განმარტებითი ბარათი

1945-46 სასწავლო წელში პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებელი იმუშავებს 39 კვირას. სასწავლო წელი დაიწყება ორ სემესტრად: პირველი სემესტრი—17 სექტემბრიდან 27 იანვრამდე (19 კვირა) და მეორე სემესტრი—11 თებერვლიდან 30 იანვრამდე (საგამოცდო სესიის ჩათვლით 20 კვირა). საზამთრო არდადეგები ორი კვირა — 28 იანვრიდან 10 თებერვლამდე.

ქართული ენისა და ლიტერატურისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების ჯამიდან პირველ კლასში ქართულ ენას ეთმობა ერთი საათი და ლიტერატურას—3 საათი. დანარჩენ კლასებში ისწავლება მხოლოდ ქართული ლიტერატურა.

მათემატიკისათვის გათვალისწინებული საათების ჯამიდან პირველ კლასში ალგებრას ეთმობა სამი საათი და გეომეტრიას—ორი საათი; მეორე კლასში ალგებრას—ორი საათი, გეომეტრიას—ორი საათი და ტრიგონომეტრიას—ერთი საათი; მესამე კლასში: ალგებრას—ორი საათი, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიას—თითო საათი.

საქართველოს სსრ განსახკომის პოლიტგანმუშავების

სამმართველოს უფროსი პ. გაბისონია.

კოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საბიზლიოთიკო  
განყოფილების სასწავლო გეგმა  
1945—1946 სასწავლო წლისათვის

№ რეგ.	საგნების დასახელება	საგნების დასახელება			ს
		1 კლ.	2 კლ.	3 კლ.	
1	ქართული ენა და ლიტერატურა . . . . .	4	4	4	12
2	რუსული ენა და ლიტერატურა . . . . .	5	5	5	15
3	მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია)	5	5	4	14
4	ფიზიკა . . . . .	3	2	2	7
5	ბუნებისმეტყველება . . . . .	3	1	—	4
6	ქიმია . . . . .	2	2	1	5
7	გეოგრაფია . . . . .	2	2	—	4
8	ისტორია . . . . .	3	3	2	8
9	საქართველოს ისტორია . . . . .	—	—	2	2
10	გრაფიკა . . . . .	1	1	1	3
11	შუცხო ენა . . . . .	1	2	2	5
12	წიგნობრივი ფონდის ორგანიზაცია . . . . .	4	3	1	8
13	დაკომპლექტება- ბიბლიოგრაფია . . . . .	—	3	3	6
14	მკითხველებთან მუშაობის მეთოდთა	1	1	3	5
15	ბავშვებთან მუშაობა . . . . .	—	—	2	2
16	საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია . . . . .	—	—	2	2
17	სამხ.-ფიზიკ. მომზადება . . . . .	2	2	2	6
ს უ ლ . . . . .		36	36	36	108
პრაქტიკა . . . . .		—	1	2	3
ფაკულტეტური საგნების დასახელება					
1	მხატვრული კითხვის მეთოდთა	4	4	4	12
2	საპლაკატო საქმე . . . . .	2	2	2	6
3	თბრობა . . . . .	—	3	3	6
ს უ ლ . . . . .		6	10	11	27

კონსულტაციის და პრაქტიკული მეცადინეობის გარჩევისათვის მე-2 კლასს  
ეთმობა 132 საათი, ხოლო მე-3 კლასს—792 საათი. გათვალისწინებულ 792 საა-  
თიდან საწარმოო პრაქტიკის სწავლებისაგან მოწყვეტით დათმობილი აქვს 144  
საათი, 24 სამუშაო დღის ანგარიშიდან 6-6 საათი ყოველდღიურად.

საქ. სსრ განსახკომის პოლიტგანმუშაობის  
სამმართველოს უფროსი პ. გაბისონია.

**პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლოების პოლიტსაგანმანათლებლო (საკლუზო) განყოფილების სასწავლო გეგმა 1945—1946 სასწავლო წლისათვის**

№ რიგ.	საგნების დასახელება	წ			
		1 კლ.	2 კლ.	3 კლ.	ს
1	ქართული ენა და ლიტერატურა . . . . .	4	4	4	12
2	რუსული ენა და ლიტერატურა . . . . .	5	5	5	15
3	მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია)	5	5	4	14
4	ფიზიკა—ასტრონომიით	3	2	3	8
5	ბუნებისმეტყველება . . . . .	3	1	—	4
6	ქიმია . . . . .	2	3	1	6
7	გეოგრაფია . . . . .	3	2	—	5
8	ისტორია . . . . .	3	3	2	8
9	საქართველოს ისტორია . . . . .	—	—	3	3
10	უცხო ენა . . . . .	1	1	1	3
11	გრაფიკა . . . . .	1	1	1	3
12	პოლიტგანმუშაობა . . . . .	1	4	4	9
13	საბიბლიოთეკო-საქმე . . . . .	1	2	3	6
14	სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია და აგროზოოტექნიკური პროპაგანდის მეთოდოლოგია.	—	—	2	2
15	სამხედრო-ფიზიკ. მომზადება . . . . .	4	3	4	11
<b>ს უ ლ . . . . .</b>		<b>36</b>	<b>36</b>	<b>37</b>	<b>109</b>
პრაქტიკა . . . . .		—	1	2	3
ფაკულტატიური საგნების დასახელება					
1	საპლაკატო საქმე ფოტოსაქმე და რადიოტექნიკა . . . . .	3	2	2	7
2	მუსიკა . . . . .	2	2	2	6
3	სიმღერა . . . . .	2	1	1	4
4	ასტრონომია . . . . .	—	—	1	1
5	თეატრალური ხელოვნება . . . . .	2	2	1	5
<b>ს უ ლ . . . . .</b>		<b>9</b>	<b>8</b>	<b>9</b>	<b>26</b>

კონსულტაციის და პრაქტიკული შეცადინების გარჩევისათვის მე-2 კლასს ეთმობა 132 საათი, ხოლო მე-3 კლასს — 792 საათი. გათვალისწინებულ 792 საათიდან საწარმოო პრაქტიკას წარმოებისაგან მოწყვეტით დათმობილი აქვს 144 საათი, 24 სამუშაო დღის ანგარიშიდან 6-6 საათი ყოველდღიურად.

პ/მგ. რედაქტორი მ. ბურბულაძე

შეკვეთის № 1435 უფ 09581 ტირაჟი 1500